

---

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში 2014 წლის 26 თებერვალს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე:

„რას მოუტანს თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს დემოკრატიას?“

---

**ძირითადი მომხსენებლები:**

**თენგიზ შერგელაშვილი** - საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე

**დავით ლოსაბერიძე** - ადგილობრივი დემოკრატის ქსელის ცენტრი, გამგეობის თავმჯდომარე

**ლიზი სოფრომაძე** - რეგიონული განვითარების ცენტრი, აღმასრულებელი დირექტორი

---

**მოდერატორი:** თამარ გურჩიანი, იურისტი

---

**თამარ გურჩიანი** - მოგესალმებით. ძალიან მიხარია სავსე დარბაზის ხილვა. ეს ალბათ მიუთითებს იმაზე, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მიმართ საზოგადოებაში მართლაც არის სერიოზული ინტერესი. დღეს ვისაუბრებთ ადგილობრივი თვითმმართველობაზე და მის წვლილზე ქართულ დემოკრატიაში.

პატივი მაქვს წარმოგიდგინოთ არაჩვეულებრივი მომხსენებლები, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ამ ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში. ბევრ თქვენგანს ჰქონდა მოლოდინი, რომ დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია. მან ვერ მოახერხა ჩვენთან მოსვლა, თუმცა გვყავს მისი პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაში. ჩვენთან ასევე იმყოფება ქალბატონი ლიზი სოფრომაძე, რეგიონული განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, და დავით ლოსაბერიძე, ადგილობრივი დემოკრატის ქსელის ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე.

პირადად მე სხვადასხვა მიზეზების გამო არ ვყოფილვარ ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაში და თვალი ვერ მივადევნე, თუმცა ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყო ჩართული, მათ შორის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. ქალბატონი ლიზის და ბატონი დავითის მონაწილეობაც ამ შეხვედრაში ალბათ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ სწორედ საზოგადოებრივ პერსპექტივას დაგვანახებენ და არ მოვისმენთ მხოლოდ სახელმწიფო პოზიციას.

ძალიან ბევრი საინტერესო რამ მოხდა ამ რეფორმით, დასრულდა თუ არა, ეს ცალკე თემაა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც გველის ივნისში, კიდევ ბევრი რამის ინდიკატორი იქნება, მაგრამ წინ ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა დეცენტრალიზაციისკენ, ფინანსური დამოუკიდებლობისკენ, მარტო ის, რომ პირდაპირი წესით ადგილობრივი მმართველების არჩევის არეალი გაფართოვდა, რად ღირს, თუმცა, რეფორმას სერიოზული კრიტიკაც ახლდა, დაწყებული გუბერნატორის ინსტიტუტით და ბევრი ისეთი ნიუანსით, რომელიც არ ყოფილა მხედველობაში მიღებული და დასრულებული სულ ბოლოს განხორციელებული ცვლილებებით “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონში, რომელიც განხორციელდა ნაციონალური მოძრაობის დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, რომელსაც ახლა მუდმივად ვაკრიტიკებთ. ეს ტრადიცია გულისხმობდა იმას, რომ არა პირველ და მეორე მოსმენაზე პარლამენტში, არამედ მესამე მოსმენაზე, როდესაც მხოლოდ სარედაქციო ცვლილებები შედის კანონებში, და როდესაც საზოგადოებრივი ჩართულობა აღარ არსებობს, მაშინ შევიდეს პრინციპული მნიშვნელობის მქონე ცვლილებები. ზურგს მიმაგრებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც 2014 წლის 5 თებერვლის ცვლილებას ეხება “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონში.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად ასევე მიღებულია, რომ არჩევნებამდე ერთი წლის განმავლობაში არ უნდა იცვლებოდეს საარჩევნო კანონმდებლობა, რადგან საარჩევნო გარემოს სტაბილურობას ეს ხელს არ უწყობს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამაზეც იარსებებს არგუმენტები. ეს რა თქმა უნდა არ არის ბრალდებები. მე მოდერატორი ვარ და ჩემი ფუნქციაა, რომ ყველა აზრს მივცე გამოთქმის საშუალება და შემდგომ უკვე აუდიტორიაზე იქნება დამოკიდებული დასკვნების გაკეთება.

პირველს ბატონ დავით ლოსაბერიძეს ვთხოვთ საუბარი. პირადად ჩემთვის ადგილობრივი თვითმმართველობა ასოცირდება ამ ადამიანთან, იმიტომ რომ რაც თავი მახსოვს, იგი ამ თემაზე მუშაობს და იქნებ მცირეოდენი ისტორიული მიმოხილვაც გაგვიკეთოს. იქნებ ასევე გვითხრათ იმ შედეგზეც, რაც მივიღეთ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის სახით, რამდენად ამართლებს თქვენს იმედებს და ოცნებებს და რამდენად გულისხმობს დეცენტრალიზაციას და ფინანსურ დამოუკიდებლობას.

**დავით ლოსაბერიძე** - ის ფაქტი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა რომელიმე კონკრეტულ ადამიანთან ან ადამიანთა ჯგუფთან ასოცირდება, მეტყველებს იმაზე, რომ მთლად კარგად ვერ არის საქმე. იმიტომ რომ ეს უნდა იყოს სისტემური ცვლილებები, ცხოვრების წესი და არა რომელიმე ჯგუფის ან თუნდაც ურთიერთსაპირისპირო ჯგუფების მოსაზრებების ლობირების პროცესი.

შევეცდები რამდენიმე პუნქტად ჩამოვყალიბო ის პროცესი, რომელიც საქართველოში მიმდინარეობდა და ზოგადად შევებო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს. პირველი - ჩვენთან მიღებულია, პოლიტიკური მეინსტრიმიც და საზოგადოების განწყობაც ან თეთრად ან შავად აფასებს ყველა პროცესს, რაც ნამდვილად არ არის ერთგვაროვანი შეფასების საგანი. როგორი კრიტიკულებიც არ უნდა ვიყოთ განვლილი წლების მიმართ, ყველა ხელისუფლებისას იყო მცდელობები და ნაბიჯები, რომ ქმედითი, ნახევარქმედითი თუ თუნდაც კოსმეტიკური სახის ცვლილებები განხორციელებულიყო და ეს ჯერ კიდევ 1991 წელს დაიწყო. შევეცდები ფაქტებით გავამყარო ეს მოსაზრება. გამსახურდიას პერიოდში მრავალპარტიულობა შემოვიდა ადგილობრივ დონეზეც. პირდაპირი დემოკრატიის ფორმები კანონში ჩაიდო, მაგრამ ვეღარ ამოქმედდა ქვეყანაში განვითარებული პროცესების გამო. ფაქტია, რომ მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი მხარდაჭერა ჰქონდა მაშინ “მრგვალი მაგიდა - თავისუფალ საქართველოს”, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ ოპოზიციური პარტიებით იყო წარმოდგენილი. თუმცა სახელმწიფო დონეზე რეიტინგი სხვა მიმართულებით ვითარდებოდა.

შემდეგ შავბნელი საუკუნეების მსგავსად იყო ბნელი ხანა, როცა საერთოდ არ არსებობდა თვითმმართველობა. პირველი მცდელობები 1997 წელს გაჩნდა, როცა მიღებულ იქნა “კანონი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ” და ჩატარდა 1998 წლის არჩევნები. ამას შეიძლება დავარქვათ შევარდნაძის პერიოდი. რა იყო ამ პერიოდის ძირითადი მახასიათებლები - ფურცელზე ეწერა ბევრი რამ, თვითმმართველობის უფლებამოსილებების საკმაოდ გრძელი ჩამონათვალი იყო, თუმცა ფუნქციები აღრეული იყო. ადგილობრივი ხელისუფლება როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, იყო ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებები და კანონიც ამაზე მეტყველებს, როცა მასში გაერთიანებული იყო მმართველობისა და თვითმმართველობის, ამ ორი შტოს საქმიანობა. მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ ფურცელზე. რეალურად კონსოლიდირებული ბიუჯეტის მესამედი კლასიკური ევროპული დემოკრატიის მაჩვენებელი, თვითმმართველობის ბიუჯეტებში მიდიოდა. 600 მლნ იყო მთლიანად კონსოლიდირებული და 200 მლნ რეგიონებში

მიდიოდა. სხვა საკითხია, რომ ეს 200 მლნ არაფერს წარმოადგენდა და ვერც იქნებოდა უფლებამოსილებების განხორციელების საშუალება.

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ მოდის ახალი ხელისუფლება და აქაც პლიუსებზე და მინუსებზე უნდა იყოს საუბარი. რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება შევიდა, დაიწყო ქონების გადაცემის პროცესი, ზედამხედველობის შესახებ საკმაოდ პროგრესული კანონიც იქნა მიღებული, მაგრამ შემდეგ დაიწყო ამ კანონებში პატარ-პატარა შენიშვნების შეტანა, რამაც არარად აქცია ეს პროცესი. პლიუსი გახლდათ ის, რომ გაიზარდა, გაათქვცდა რეგიონებში მიმართული თანხების ოდენობა, 200 მლნ-დან 2 მილიარდამდე გაიზარდა. სააკაშვილის ხელისუფლების ბოლო პერიოდში ეს თანხა დაახლოებით 2 მილიარდს გაუტოლდა. ოღონდ ეს იყო ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობა, როცა თვითმმართველობას არაფერს ეკითხებოდნენ. გვახსოვს კურიოზული სიტუაციები, საქანელების დადგმა სოფლებში და ა.შ. ეს ბოროტი განზრახვით არ კეთდებოდა, უბრალოდ ცენტრი ვერ განსაზღვრავდა ამ პრინციპებს. ათჯერ მეტი თანხა მიდიოდა, მაგრამ ადგილობრივ საჭიროებებს ვერ პასუხობდა. იმისათვის, რომ გავიგოთ რა არის გასაკეთებელი, ჯერ უნდა ვთქვათ, რისთვის არის ეს საჭირო, რას ვისახავთ მიზნად.

შეგახსენებთ, თვითმმართველობის ორ ძირითად ფუნქციას მთელ მსოფლიოში - საზოგადოებრივი სერვისების მიწოდება მოსახლეობისათვის - ტრანსპორტი, სკოლამდელი აღზრდა, წყალმომარაგება, ენერგომომარაგების რეგულირება, კეთილმოწყობა. ბევრგან კიდევ მეტი რამ ემატება, ვიცით ქვეყნები, სადაც უსაფრთხოების სისტემაც კი, მაგალითად მუნიციპალური პოლიციები, შერიფები აირჩევა კიდევ. არის მთელი რიგი ფუნქციები, რაც ადგილობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილზე უნდა განხორციელდეს. სახელმწიფო ადგენს ჩარჩო-კანონებს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს თვითმმართველობებმა, და ზედამხედველობას უწევს, რომ ეს კანონები კონსტიტუციასთან შესაბამისობაში იყოს და არ დაირღვეს, ხოლო თვითმმართველობები წყვეტენ რა გააკეთონ ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე. მიზეზი ძალიან მარტივია, ვერანაირი გენიალური ხელისუფლება ცენტრში ვერ მოახერხებს ფლობდეს ინფორმაციას ყველაფერზე, მაგალითად რომელიმე სოფლის რომელიმე ჩიხში რომელი ნათურაა გამოსაცვლელი. ინფორმაცია ადგილიდან უნდა წამოვიდეს და რადგან ადგილი წყვეტს ამას, ხომ არ ჯობია, რომ მათვე მოაგვარონ ეს საკითხი?

მეორე საკითხი ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების გამო ხორციელდება. გვაქვს საშუალება, ფინანსები, უფლებამოსილება და გადაწყვეტილება სწორედ ადგილობრივი ინტერესების შესაბამისად უნდა მიიღებოდეს. გარდა ამისა თვითმმართველობის სისტემები ახალი დემოკრატიის ქვეყნებში მიზნად ისახავს კიდევ ორ დამატებით მიზანს. ეს არის ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების ფორმირება ამ სიტყვის ყველაზე კარგი გაგებით, როცა ცენტრში არ არის მთელი ძალაუფლება თავმოყრილი და გადაწყვეტილებები ადგილზე მიიღება, ამ პროცესში ჩართულია მოსახლეობის ფართო ნაწილი და მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, განსაკუთრებით პოლიეთნიკური ქვეყნებისთვის - ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილება ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით ისე, რომ ხელი შეეწყოს უმცირესობების ინტეგრაციას და არა ასიმილაციას ან დიქტატს და მეორე მხრივ, ამან საფრთხე არ შეუქმნას სახელმწიფოს ერთიანობას, სახელმწიფო პოლიტიკის და ინტერესების გათვალისწინებას.



როცა რეფორმებზე ვსაუბრობთ, სწორედ აქედან უნდა ამოვიდეთ. თუ თვალს გადავავლებთ სიტუაციის ცვლილების დინამიკას, ქართული ოცნების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ დავინახავთ ცვლილებებს, რომლებიც ასე შეიძლება დახასიათდეს - იდეალური ხედვიდან რეალობის გათვალისწინებით მთელი რიგი კომპრომისები, რომლებიც ბევრ კითხვას აჩენს ამ მიმართულებით. “ქართული ოცნების” საარჩევნო პროგრამა მე მგონი ყველას გვახსოვს, ჩამოთვლილი იყო ძირითადი პრინციპები ყველა დონეზე, ანუ რა უნდა ყოფილიყო თვითმმართველობის ქვემოთ, როგორი უნდა ყოფილიყო პირდაპირი დემოკრატიის ფორმა საზოგადოებრივი საბჭოების დონეზე, ამით შვეიცარიის მოდელს ვუახლოვდებით, როცა სოფელი წყვეტს არა ყველაფერს, არამედ მისთვის არსებულ კონკრეტულ საკითხებს, ჩამონათვალზე იყო განსაზღვრული. შემდეგ მოდიოდა თვითმმართველობის დონე, აქ იგულისხმებოდა თვითმმართველი ერთეულების ოპტიმიზაცია, ქალაქებისა და სოფლების განსხვავებული ინტერესების მიხედვით დაბალანსება ისე, რომ ეს ინტერესები წინააღმდეგობაში არ მოსულიყო ერთმანეთთან. ამ ინტერესების ერთ ქვაბში ჩაყრა ბუნებრივია, რომ კონფლიქტებს იწვევდა. ამიტომ დადგა ოპტიმიზაციის საკითხი. ამას მოსდევს იმ დისბალანსის გასწორება, რაც არსებობდა საბჭოთა პერიოდში, როცა არსებობდა 3 ათასიანი რაიონი, მაგალითად ყაზბეგის რაიონი და 160 ათასიანი რაიონი, ვთქვათ, ზუგდიდის, და ერთ დონეზე ხდებოდა ამის დაფიქსირება. ამიტომაც დღის წესრიგში დადგა ახალი მუნიციპალიტეტების ჩამოყალიბება, რაც მიზნად ისახავდა მოსახლეობასთან მაქსიმალურ მიახლოებას.

შემდეგი იყო სამხარეო დონე. აქ საუბარი იყო არა ფედერალიზაციაზე, რაც ბევრჯერ ქცეულა პოლიტიკური სპეკულაციის საგნად, არამედ რეგიონის დონეზე ისეთი უფლებამოსილებების და ფუნქციების გადაცემაზე, რომელსაც არ უნდა ახორციელებდეს ცენტრალური ხელისუფლება. თავისი ბუნებით ეს არის ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებისთვის გადადგმული ნაბიჯები, მაგრამ თვითმმართველი ერთეულები ვერ მოახერხებენ თავისი რესურსებით ამის განხორციელებას და ამიტომ უნდა ყოფილიყო მაკავშირებელი რგოლი. მაგალითისათვის ერთი რეგიონისთვის პრიორიტეტული შეიძლება იყოს ერთი საკითხი, აჭარისთვის და გურიისთვის ეს შეიძლება იყოს საზღვაო ტურიზმის განვითარება, თუმცა საზღვაო ტურიზმის განვითარებაში დიდი თანხების ჩადება და სპეციალური დეპარტამენტების შექმნა ნამდვილად არ იქნება მიზანშეწონილი კახეთისთვის, იმიტომ რომ მას სხვა ინტერესი აქვს.

შემოდოდა კიდევ ერთი სიახლე - ფინანსების გადანაწილების საკითხი, ფინანსების თანდათანობითი ზრდა. თვითმმართველობას უნდა მიეღო ის ქონება, რომელიც სახელმწიფოს არ სჭირდებოდა მისი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად. იდგა საკითხი, რომ შეიძლება არც თვითმმართველობას სჭირდებოდა ეს ქონება, მაგრამ მან შეიძლება მოახდინოს იმისი პრივატიზაცია, რაც მას არ სჭირდება, ის ფული წავიდეს ადგილობრივ ბიუჯეტებში და ადგილობრივი საჭიროებების განვითარებას მოხმარდეს, იმიტომ რომ ცენტრი ერთიან ქვაბში ჩაყრილ თანხებს მაინცდამაინც კონკრეტულ რეგიონებს ვერ მოახმარდა. ეს აქსიომაა და არა იმიტომ, რომ რომელიღაც ხელისუფლება კარგია ან ცუდია. აქ იდგა საუბარი ზედამხედველობაზე, თბილისის, როგორც დიდი ერთეულის, უბნების შემოღებაზე, თბილისის უბნებშიც საკრებულოების არჩევაზე და იყო საუბარი მოხელეთა გადამზადებაზე. გაწერილი იყო საარჩევნო სისტემა, რომელიც მთლიანად ცვლიდა არსებულ სტრუქტურას, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ეს

ყველაფერი წარმატებულად განხორციელდებოდა. პრობლემები რა თქმა უნდა ყველა რეფორმაში იქნებოდა, მაგრამ პირველი პრობლემა, რაც დადგა, ორი ბანაკის დაჯახებაში მდგომარეობდა. ეს ორი ბანაკი არ არის “ნაციონალები” და “ოცნება” ან ცუდები და კარგები. აქ ლაპარაკია რეტროგრადულ ხედვაზე, რომელიც მთელ პოლიტიკურ სპექტრში არსებობს და მეორე ხედვა, რომ ადამიანებს თვითონ შეუძლიათ ადგილზე ელემენტარული საკითხების მოგვარება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. ამას მოყვა მთელი რიგი კომპრომისები. ხელისუფლების წარმომადგენელი ალბათ ამაზე ისაუბრებს, მაგრამ ფაქტი არის შემდეგი - პირველი - საზოგადოებრივი თვითმმართველობის დონე ამოღებულ იქნა კოდექსიდან, თუმცა საკითხი არ გაუქმებულა, გადაიდო. წელს უნდა იქნეს მიღებული სპეციალური კანონი, ორგანულ კანონში დევს და სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი თვითმმართველობის ერთეულები. მეორე - ოპტიმიზაციის რეფორმა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ ვერ ხორციელდება. 59 სასოფლო მუნიციპალიტეტიდან ჩამოვიდა, ჯერ იმ მუნიციპალიტეტებზე იყო საუბარი, სადაც ქალაქებში ცხოვრობდა 10 ათასზე მეტი მცხოვრები, შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა და 15 ათასიან ქალაქებს მიეცათ ეს უფლება, შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა და სამხარეო ცენტრებზე გადავიდა. თუმცა აღინიშნა, რომ ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელიც 2014 წლის არჩევნებამდე უნდა განხორციელდეს. ხოლო 2017-ის მუნიციპალურ არჩევნებამდე უნდა მოხდეს დანარჩენი ტერიტორიების ოპტიმიზაციის სამუშაოების განხორციელება.

სამხარეო დონეზე გვახსოვს რა პრობლემებიც არსებობდა. განცხადებები, დაწყებული ქვეყნის ღალატიდან, ამ სისტემის მომხრეები მონათლულები იყვნენ სომხეთის აგენტებად, რუსეთის აგენტებად და ა.შ. გვახსოვს პოლიტიკური პარტიების განცხადებები, რომ სამხარეო მოწყობა დალუპავს ქვეყანას. თუმცა შეგახსენებთ, რომ ყველა პოლიტიკური პარტიის პროგრამაში იდო, რომ სამხარეო სისტემები აუცილებელია. აქ არ არის საუბარი ფედერალიზმზე, ეს იყო ჩვეულებრივ პოლიტიკურ დისკურსში გადატანილი პროცესი, რამაც ეს საკითხი ამ ეტაპზე უკანა პლანზე გადაწია და პოლიტიკურ დღის წესრიგში აღარ დგას. დედაქალაქის უბნებზეც ასეთივე გადაწყვეტილება იქნა მიღებული. კანონში ჩადებულია პუნქტები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება სამემოსავლო გადასახადის ნაწილის ადგილზე დატოვების სახით, თუმცა როგორ განხორციელდება, ამასაც შემდგომი პროცესები დაგვანახებს. ასევე მოხელეთა გადამზადების სისტემა, საარჩევნო სისტემებზე მორიგი ცვლილებები - ნაწილი ამოღებულ იქნა, ნაწილმა გადაივალა.

საზოგადოების ნაწილი, რომელიც ელოდებოდა ძირეულ რეფორმებს, უკმაყოფილოა. ბუნებრივია, რომ ყველაფერი ერთიანად ვერ განხორციელდა. ამავე დროს კონსერვატორული ბიუროკრატია პირიქით აცხადებს, რომ ეს დალუპავა. პირდაპირ აცხადებენ, რომ ადგილებზე გადასახადი რომ წავა, ვერ გააკონტროლებენ არჩევნებს და შეიძლება თავიანთი კაცი აირჩიონ. ეს გულწრფელი წუხილებაა და არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მართლა დგას ეს პრობლემები. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, პესიმისტური ხედვები სამოქალაქო საზოგადოებისა კარგად ეხმიანება ბიუროკრატის ხედვებსაც. ჯერ იყო წამოსული მესიჯი, რომ ხალხს ვინ ეკითხება, ყველაფერი მაინც უკვე გადაწყვეტილია, ახლა ის, რომ არ გამოვიდა. თუ საზოგადოება გაჩერდება და ხელისუფლებისგან არ მოითხოვს იმ პრინციპების შესრულებას და რეალურ განხორციელებას, მაშინ ის წარმატებებიც, რომელიც არის ჩადებული, უკან დატრიალდება.

იმიტომ რომ დემოკრატიული სისტემა აჩვენებს, რომ ხალხმა ვერ გაამართლა და დღის წესრიგში დადგება ძველი სისტემის აღდგენის საკითხი. არჩევანი ყველა ჩვენგანზეა, რა პოზიციას დაიკავებს, გაემიჯნება თუ ჩაერთვება ამ პროცესში. ძალიან რთული და მრავალპლანიანი საკითხია და აღარ ჩამოვთვალე ის 71 სფერო, რომელიც ამას ეხება.

**თამარ გურჩიანი** - ჩვენ კიდევ ერთი მომხსენებელი გვყავს, რომელიც საზოგადოებრივი პერსპექტივიდან ისაუბრებს და შემდეგ უკვე ბატონ თენგიზს მოუწევს ამ ბრალდებებზე პასუხის გაცემა. ლიზი, მე მინდა, რომ თქვენ აღწეროთ ეს პროცესი, ასევე იქნებ ყურადღება გაამახვილოთ და თქვენი აზრი მოგვახსენოთ იმ კომპრომისებზეც, რაზეც ბატონმა დავითმა ისაუბრა თავის გამოსვლაში.

**ლიზი სოფრომაძე** - ძალიან მიხარია, რომ ასეთი ინტერესია ამ თემის მიმართ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოება ნამდვილად არის მზად იმისთვის, რომ ადგილობრივი დემოკრატია საქართველოში განხორციელდეს. ვიდრე ამ დებატებზე მოვიდოდით, რამდენიმე კითხვა მივიღეთ, მათ შორის ერთ-ერთი სწორედ ადგილობრივი დემოკრატიისთვის საზოგადოების მზაობის საკითხს ეხებოდა. საზოგადოება ნამდვილად მზად არის და აქ ალბათ კითხვა არ უნდა დავსვათ, იმიტომ რომ თუ ვენდობით საზოგადოებას სოფელში, ქალაქში, თემში იმისთვის, რომ ლეგიტიმაცია მიიღოს პარლამენტმა ან პრეზიდენტმა, ესე იგი საზოგადოება მზად არის.

მოკლედ მოგახსენებთ იმ პროცესის შესახებ, რომელშიც მეც მონაწილეობა ვნახოთ, როგორ გაცხადდა, დაიწყო და მიმდინარეობდა რეფორმა. ამ პროცესის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებდა MSI. რეფორმის შესახებ მარტში გაცხადდა. სამინისტრომ ოფიციალურად გამოაქვეყნა სტრატეგია. მთავრობა შეთანხმდა იმაზე, რომ გვინდა დეცენტრალიზაცია და გაიწერა ის პუნქტები, რის განხორციელებასაც ეს რეფორმა ისახავდა მიზნად. ბუნებრივია, რეფორმა არ არის მხოლოდ კანონის მიღება, ის არის პროცესი, რომელიც დაიწყო კანონის მიღებით, მაგრამ ის უნდა გაგრძელდეს და დარწმუნებული ვარ, რომ გაგრძელდება. რეფორმის ხელშეწყობის მიზნით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პოზიტიური კომპონენტი იყო ის, რომ თვითონ ხელისუფლება გამოდიოდა რეფორმის ინიციატორი. თუმცა ყველა ხელისუფლება თავის პოლიტიკურ დივიდენდებს თვითმმართველობის რეფორმის გაცხადებით იწყებს.

იმისათვის, რომ ეს პროცესი უფრო მეტად ყოფილიყო გამჭვირვალე და საზოგადოება ჩართული ყოფილიყო, შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტდა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით, ექსპერტებით სხვადასხვა სფეროში, რეგიონებიდანაც იყვნენ ადამიანები ჩართულები. განისაზღვრა გეგმა, რომ საბჭო შეიმუშავებდა რჩევებს და მიაწვდიდა სამინისტროს და პარლამენტის კომიტეტს ამ რეფორმასთან დაკავშირებით, თუმცა იმისათვის რომ ამ პროცესს უფრო მეტი ადამიანი მოეცვა, სტრუქტურირებული ყოფილიყო. ზუსტად ეს იყო პროექტი, რომელიც დააფინანსა MSI-მ. შეიქმნა სხვადასხვა თემატიკის მიხედვით, მოგვხსენებთ თვითმმართველობას ეხება ინსტიტუციური მოწყობა, ტერიტორიული ოპტიმიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის დროს სოფლისა და ქალაქის ინტერესების თანაბრად წარმოჩენა, ფინანსური საკითხები, თანამონაწილეობა და ამ თემების მიხედვით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები. გამოცხადდა, რომ ყველა მსურველს შეეძლო მონაწილეობის მიღება ამ სამუშაო



ფორმატში. მიმდინარეობდა დისკუსია. ერთი ნაწილი იყო ექსპერტიზა, ჩატარდა კვლევები, მაგალითად იმის შესახებ, თუ რა გამოცდილება არსებობს ევროპაში და ზოგადად მსოფლიოში ტერიტორიული ერთეულის სიდიდის მიხედვით. იმიტომ რომ ხშირი იყო აპელირება იმაზე, რატომ უნდა დავყოთ მუნიციპალიტეტი, როდესაც ევროპა მისი გამსხვილებისკენ მიდის. ამის საპასუხოდ ძალიან საინტერესო კვლევები განხორციელდა. გაირკვა, რომ თურმე საჭიროა ტერიტორიული ოპტიმიზაცია, იმიტომ რომ სოფლის თვითმმართველობიდან გადავხტით რაიონის დონეზე, რამაც მოსახლეობა ძალიან დააშორა ადგილობრივ ხელისუფლებას. საუბარი იყო კომპეტენციებზე, ფინანსებზე. კვლევებზე დაყრდნობით პარალელურად იმართებოდა განხილვები.

ამ პროცესს ჰქონდა ერთი ხარვეზი. რადგან ეს სამუშაო ჯგუფები ძირითადად მაინც თბილისში იკრიბებოდა, რეგიონებიდან რთული იყო ადამიანებისთვის ჩამოსვლა. არადა ჩემი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია რეგიონში, სოფელში შეხვედრები და მათი მოსაზრებების გაგება იქ არსებულ სიტუაციაზე. მე ვმუშაობდი სამდივნოში, რომელიც ხელს უწყობდა სამუშაო ჯგუფების შეხვედრას და ვინც მომმართავდა თხოვნით, რომ სურდა მონაწილეობა, ყველას ვაწვდიდი ინფორმაციას. აღსანიშნავი ფაქტია, რომ გარდაბნის სოფლის რწმუნებულის აპარატის თანამშრომელი არჩილ მდივნიშვილი, რამდენი შეხვედრის შესახებაც გავუგზავნე ინფორმაცია, ყველას დაესწრო. ძალიან ბევრი ორგანიზაცია, პიროვნება ჩაეწერა სამუშაო ჯგუფებში, თუმცა დასწრება არც ისე მაღალი იყო. ამისი მიზეზი შესაძლოა შეხვედრების ძირითადად თბილისში გამართვა იყო, თუმცა სამუშაო ჯგუფებს გასვლებიც ჰქონდა.

პროცესი იდეალური ნამდვილად არ ყოფილა და არც მქონდა ამისი მოლოდინი. თავიდან, ვიდრე სამდივნოში დავიწყებდი მუშაობას, როცა როგორც ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელმა გამოვთქვი ამ პროცესში მონაწილეობის სურვილი, მიმაჩნდა, რომ ინფორმაცია ჩემამდე კარგად არ მოდიოდა, მაგრამ როგორც კი მოვითხოვე, მაშინვე მივიღე და მივხვდი, რომ ეს უფრო იყო ჩემგან წამოსული განცდა, რომ თუ ხელისუფლება რაღაცას გეგმავს, აუცილებლად დაბლოკავს რაღაცებს. ხარვეზები სხვა კუთხით იყო. რჩევები მიდიოდა სამინისტროში, იმართებოდა განხილვები, მაგრამ ვიმეორებ, ალბათ გაცილებით მეტი შეხვედრა უნდა ჩატარებულიყო რეგიონში და რაც შეიძლება მეტ ადამიანამდე უნდა მისულიყო ინფორმაცია იმის შესახებ, რა ხდება. იმიტომ კი არა, რომ ხელისუფლება ყველა მოსაზრებას გაითვალისწინებდა, ბუნებრივია, ზოგიერთ რჩევას გაითვალისწინებდნენ, ზოგიერთს არა, მაგრამ აუცილებლად უნდა ყოფილიყო უკუკავშირი, უნდა განემარტათ, რატომ გაიზიარეს ესა თუ ის რჩევა ან პირიქით.

სამინისტრო, როდესაც სტრატეგია გაცხადდა, მართლაც ჩავიდა რეგიონებში და ყველა რეგიონულ ცენტრში ჩატარდა შეხვედრა. მაგრამ კოდექსის მიღების შემდეგაც ყველაზე მნიშვნელოვანია ისევ მოსახლეობასთან კონტაქტი და პირისპირ ურთიერთობა. საზოგადოებისთვის ეს ახალი პროცესი იყო. მაგალითად თელავიდან არასამთავრობო ორგანიზაციებმა წერილიც მიწერეს ბატონ დავით ნარმანიას, რომ სურდათ ამ პროცესში მონაწილეობა. მაგრამ რადგან არ არის გამოცდილება და მუდმივად ვადებში ვართ შეზღუდულები, თანამონაწილეობა კი ყოველთვის მეტ დროს მოითხოვს, ხელისუფლებას სურს რაციონალური გადაწყვეტილებები რაც შეიძლება სწრაფად და პრაგმატულად მიიღოს. ეს არ არის მარტო საქართველოსთვის დამახასიათებელი, ყველგან ასე ხდება.



**თამარ გურჩიანი** - პროცესთან დაკავშირებული სურათი მშვენივრად აღწერეთ, მაგრამ კიდევ ერთ საკითხზე მაინტერესებს თქვენი მოსაზრება. როდესაც თვითმმართველობის კოდექსი იქნა მიღებული, “საჯარო სამსახურის შესახებ კანონშიც” შევიდა ცვლილება, ოღონდ შინაარსი, ვუგულისხმე, რომ ყველამ იცოდა და აღარ დამიკონკრეტებია. იგულისხმება ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნებისმიერი თანამშრომელი არჩევნების შემდეგ ავტომატურად ჩაითვლება მოვალეობის შემსრულებლად. გადაჭარბებული ხომ არ არის მედიის რეაქცია ამაზე, როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?

**ლიზი სოფრომაძე** - დღეს შეხვედრაზე ვიყავი ფონდში ღია საზოგადოება-საქართველოში და იქაც დაისვა ეს საკითხი. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ამ თემაზე სხვადასხვა მოსაზრება გვაქვს. ვეთანხმები იმას, რომ თუ საქართველოში ვაღიარებთ ადგილობრივ თვითმმართველობას, მას ნამდვილად უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობის ხარისხი, მაგრამ მეორე საკითხია, თუ ზოგადად საჯარო სექტორზე და სამსახურზე ვსაუბრობთ, ისეთი წესები უნდა იყოს მიღებული, რაც საერთო იქნება ყველასთვის. მოგვწონს თუ არა, ამ წესს უნდა დავეთანხმოთ და ვაღიაროთ.

რაც შეეხება იმას, რომ არჩევნების შემდეგ ყველა საჯარო მოხელე მოვალეობის შემსრულებელი ხდება. პირველ იანვრამდე დღეს არსებულ მუნიციპალიტეტებში საჯარო მოხელეები პრაქტიკულად მოვალეობის შემსრულებლებად ითვლებოდნენ. პირველ იანვრამდე კონკურსი უნდა გამოცხადებულიყო. სამინისტროს მიერ შემუშავდა სპეციალური დოკუმენტი, ინსტრუქცია და განმარტებულ იქნა, თუ რა წესები და პირობები უნდა ყოფილიყო დაცული გამგეობებში საჯარო მოხელის აყვანისას. ვეთანხმებით თუ არა იმას, რომ საჯარო სამსახურში კონკურსი უნდა ჩატარდეს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ თუ არა? მე მიმაჩნია, რომ კი. იმიტომ რომ საჯარო მოხელე, რომელიც ჩემი გადასახადებით იღებს ანაზღაურებას, მას კვალიფიკაციაც უნდა ჰქონდეს და კუნძურსიც უნდა გაიაროს. იმიტომ რომ არჩევნები ახლოს იყო, ხელისუფლება წავიდა იმაზე, რომ სავალდებულო აღარ გახადა კონკურსების ჩატარება და ეს საკითხი გადავადდა.

როდესაც საუბრობენ დეცენტრალიზაციის საწინააღმდეგოდ და ხელისუფლება სულ ამბობს, რომ საამისოდ რესურსი არ არის, მე მიმაჩნია, რომ არაჩვეულებრივი რესურსები გვაქვს და სოფელმაც და ქალაქმაც დამოუკიდებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და მათ უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მაგრამ ასევე ვარ ის ადამიანი, რომელსაც მიმაჩნია, რომ საჯარო რესურსები, საჯარო ფინანსები ეფექტურად უნდა იხარჯებოდეს. მაგალითად, თელავის გამგეობაში უნდა ვიცოდე, რატომ აყავთ კატასტროფული სიჩქარით კადრები. ერთ თვეში ერთ სამსახურს, რომელიც არ არის გამორჩეული სტრატეგიული მნიშვნელობის, ეს გახლავთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ფონდებთან ურთიერთობის სამსახური, ოთხი შტატი დაემატა. მიჩნდება კითხვა, რატომ. იმიტომ რომ მირჩევნია ეს ფინანსები თელავში სოფლის საბავშვო ბაღებს მოხმარდეს, რომლებსაც ძალიან უჭირთ და უძძიმესი ინფრასტრუქტურა აქვთ. ამიტომ ის, რომ არჩევნების მერე ახალი კონკურსის პირობები უნდა დადგეს, გამართებულად მიმაჩნია. როცა მოტივირებული ადამიანი მოვა საკრებულოში ან გამგეობაში, მას უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა თავისი სოფლის და ქალაქის მიმართ.

მუდმივად დგას თემა, არის თუ არა მზად სოფელი თვითონ გადაწყვიტოს რაღაც საკითხები. ჩემი აზრით მზად არის და დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია დაველაპარაკოთ ამ ადამიანებს. გუშინ დედოფლისწყაროში შეხვედრა გვექონდა ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთან, ფერმერებთან. მათ მუდმივად აქვთ იმის განცდა, რომ მეტად ეკითხებდნენ იმ საკითხებზე და მათთან ერთად წყვეტდნენ იმას, რაც მათ სოფელს ეხება. საზოგადოება მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული და ეს ნაბიჯი პირველ რიგში ხელისუფლებამ უნდა გადადგას. იმიტომ რომ რესურსები არსებობს, არაჩვეულებრივი ადამიანები არიან, ძალიან კარგად აზროვნებენ, თუ საკუთარი ბიზნესის მართვა შეუძლიათ, საჯარო ფინანსების გადანაწილებაც შეიძლება რომ ვანდოთ. ადამიანებთან, რომელთა ცხოვრებაზეც გავლენა უნდა იქონიოს ამ რეფორმამ, მეტი ურთიერთობაა საჭირო.

**თამარ გურჩიანი** - ახლა ალბათ მოვისმენთ ყველაზე მნიშვნელოვან მოხსენებას, იმიტომ რომ დაგვიგროვდა კომპრომისები, რომლებიც ახსენეს ჩვენმა მომხსენებლებმა. აღიწერა პროცესიც, მართალია დარბაზში არიან თბილისის საკრებულოს წარმომადგენლები და ბევრი ადამიანისთვის ეს პროცესი საკმაოდ კარგად არის ნაცნობი, მაგრამ ბევრმა შეიძლება არაფერი იცოდეს მის შესახებ. იქნებ გავგიზიაროთ თქვენი ხედვა, რა არის რეფორმის ყველაზე დიდი პლიუსი და რა არის ის კომპრომისები, რაზეც წასვლა მოგიხდათ. ასევე იქნებ თვითმმართველობის კოდექსის მიღების პროცედურაზეც გვითხრათ თქვენი აზრი, იმიტომ რომ არ დაეთანხმეთ ამ პროცესის ჩემულ შეფასებას, რომელიც “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” დასკვნას დაეყრდნო. ლიზიმ უკვე ისაუბრა ამაზე, მაგრამ იქნებ თქვენც გვითხრათ ორიოდ სიტყვით მოხელეების ბედზე არჩევნების შემდგომ, იმიტომ რომ ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობისა თუ ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნებისთვის ეს არ არის უმნიშვნელო საკითხი.

**თენგიზ შერგელაშვილი** - ჯამში ბოლო ოთხმოცი საათი გამოვდიოდი ამ საკითხზე პლენარულ სხდომაზე, ახლა უფრო თავისუფლად გამოსვლის საშუალება მეძლევა, იმიტომ რომ იქ პოლიტიკურად ჩასაფრებული ხალხია, აქ კი იდეურად ჩასაფრებული. მიინდა თავიდანვე თვალსაჩინო გავხადო თქვენს მიერ ნახსენები ბოლო საკითხი. ფაქტობრივი უზუსტობაა, რომ “საჯარო სამსახურის შესახებ კანონში” ცვლილება მესამე მოსმენის დროს შევიდა. მეორე მოსმენის დროს ეს საკითხი დაისვა პლენარულ სხდომაზე, რომელსაც მე, როგორც მომხსენებელი, დავთანხმდი. უფრო მეტიც, როდესაც მესამე მოსმენაზე ვახდენდი ცვლილებების ასახვას, თუ სხვა მუხლების შემთხვევაში ვამბობდი შინაარსობრივად რა შეიცვალა, ამ მუხლის შემთხვევაში მისი სიმწვავიდან გამომდინარე, თავიდან ბოლომდე ჩავიკითხე ეს ორი პუნქტი. ასე რომ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია. მით უმეტეს, პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტი ამ საკითხს ძალიან მკაცრად უდგება. მიუხედავად იმისა, რომ შინაარსობრივად არაფერი იცვლებოდა და მხოლოდ სტილისტურად უკეთესი ვარიანტი იყო, რადგან სტენოგრამაში არ იყო, ისევ შეგვაცვლევინეს.

საჯარო სამსახურის საკითხს შევეხები, რადგან ასეთი ინტერესი გამოიწვია. მეც ვყოფილვარ არასამთავრობო სექტორში და ამ დარბაზშიც გამოვსულვარ. გეტყვით, როგორი სურათი იყო. ჩემდა სამწუხაროდ არასამთავრობო ორგანიზაციები ამ საკითხს ღრმად არ

უყურებენ. 2008 წლის შემდეგ 2012 წლის ჩათვლით საქართველოში მუნიციპალურ დონეზე საჯარო მოსამსახურეთა რიცხვი დაახლოებით 40%-ით გაიზარდა. მათი რიცხვი ყველა არჩევნების წინ იზრდებოდა. თითოეულ რწმუნებულს უნიშნავდნენ თანაშემწეებს. ეს იყო საარჩევნო შტაბების დანამატი. მუნიციპალიტეტი შეზღუდული იყო თავის გადაწყვეტილებებში, ყველაფერი თბილისში წყდებოდა, სამაგიეროდ სრული თავისუფლება ჰქონდა, როგორც უნდოდა გაეხერხა შტატები. გვაქვს მუნიციპალიტეტი, სადაც 38 ამომრჩეველზე მოდის ერთი მუშაკი, ასეა ცაგერის და ლენტეხის შემთხვევაში. გვაქვს სხვა პროპორციებიც. გვაქვს მუნიციპალიტეტები, სადაც ადმინისტრაციული ხარჯი აღწევს 62-69%-ს. ერთი მხრივ გვაქვს ძალიან დიდი რაოდენობა მუდმივად მზარდი შტატისა, და რაც მთავარია მათ აბსოლუტურ უმრავლესობას არანაირი კონკურსი არ ჰქონია გამოცხადებული. მაგრამ 2012 წლის ივნისში “საჯარო სამსახურის შესახებ კანონის” შესაბამისად ყველა ეს ადამიანი ჩაითვალა მუდმივად დანიშნულ საჯარო მოხელე პირად. ამ მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ ადამიანთა უმრავლესობა, რომელიც იქ 2012 წლის ივნისამდე დასაქმდა, ითვლება საჯარო მოხელედ, თუ ვინმემ ბრძანებაში არ ჩაუწერა “მოვალეობის შემსრულებელი”. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ბრძანებაში ეს არ ჩაწერილა. ჩვენ ამ ფაქტის წინაშე ვიდევით.

შტატები გაბერილია, კვალიფიკაცია დაბალია, მაგრამ კონკურსი მხოლოდ 2012 წლის ივნისის შემდეგ დანიშნულ ადამიანებს უნდა შეხებოდა. ზოგ მუნიციპალიტეტში დაიწყო კონკურსები, მაგრამ ზოგან ვერ ესწრებოდა, ძალიან ბევრი საჩივარი შედიოდა, ამიტომ დეკემბერში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ვადა გადაწყულიყო არჩევნების შედეგების გამოცხადების დღიდან 120-ე დღემდე, რათა ახალარჩეულ მუნიციპალიტეტებს დრო ჰქონოდა დაკომპლექტებისთვის. მაგრამ ჩვენ ამ საკითხს კომპლექსურად ვუყურებთ. ჩვენთვის ამ რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საჯარო სამსახურის და ამ სტრუქტურების დალაგება. უნდა გამოგვეძებნა გამოსავალი. ერთი მხრივ, კანონში შევიდა შეზღუდვა საშტატო რიცხოვნობის შესახებ. არის ფორმულა, რომლის მეშვეობითაც მუნიციპალიტეტს განესაზღვრება შტატების ზედა ზღვარი. ასევე განესაზღვრება მაქსიმალური ზღვარი, რამდენი შეუძლია დახარჯოს შრომის ანაზღაურების ფონდზე, ეს ეხება ხელფასებს, საპრემიო ფონდს და დანამატებს. ამავდროულად კანონის გარდამავალ დებულებებში ჩაიდო, რომ ჩვენმა სამინისტრომ მთავრობას 1 მაისამდე უნდა წარუდგინოს ადგილობრივ მოხელეთა სწავლების კონცეფცია, რომელზეც ინტენსიურად ვმუშაობთ. კანონში ასევე ჩაიდო, რომ თითოეულმა მუნიციპალიტეტმა მისი შრომის ანაზღაურების ფონდის 1% უნდა დახარჯოს მოხელეთა სწავლებაზე. ასევე მნიშვნელოვანია სხვა ცვლილებებიც. რადგან გამგებელი პირდაპირ აირჩევა, მისი მოადგილეები და სამსახურის ხელმძღვანელები ვადიანი საჯარო მოსამსახურეები გახდნენ. იცით, რომ დღეს სხვა სისტემაა, დღეს საჯარო მოხელეები ექვემდებარებიან საჯარო სამსახურის კანონის იმ მუხლს, სადაც რეგულირდება ზოგადად საჯარო მოხელეების საკითხი. შესაბამისად, ჩვენ ამ საკითხს ასე ვუყურებთ, მუნიციპალიტეტებმა, იქიდან გამომდინარე, რომ შეიცვალა მათი მოწყობა, აქვთ საშტატო ლიმიტირება, ამავდროულად მათ ფუნქციებშიც მოხდა ცვლილება, ძალიან დიდ ნაწილს ამ შტატებისა შეადგენდნენ მეხანძრეები, მაგრამ სახანძრო სამსახური ამოვიდა მათი უფლებამოსილებიდან, მეორე მხრივ დაემატა წყალმომარაგებისა და სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებული ფუნქციები, ჯამში, მუნიციპალიტეტებმა, მიუხედავად იმისა, იქ ტერიტორიული ოპტიმიზაცია განხორციელდება თუ არა, შექმნილი



გარემოებიდან გამომდინარე უნდა შექმნას ახალი სტრუქტურა. მეორე მხრივ სამტატო რიცხოვნობის ოპტიმიზაცია უნდა მოახდინოს. ეს კანონში რომც არ ჩაგვედო, მარტო რეორგანიზაციის მუხლით შესაძლებელი იქნებოდა კონკურსის გამოცხადება.

უახლოეს დღეებში ალბათ კიდევ ერთი საკანონმდებლო ინიციატივით გამოვალთ, ამ საკითხს ვათანხმებთ საჯარო სამსახურის ბიუროსთან, რომ ეტაპობრივად დავნერგოთ სერტიფიცირების სისტემა. გინდა მუნიციპალიტეტში მუშაობა? შეგიძლია კონკურსში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ კონკურსამდე მინიმალური კვალიფიკაცია უნდა მოწმდებოდეს, ეს უნდა შეეხოს ყველას და მოხდეს ცენტრალიზებულად. ამასთან მუნიციპალიტეტს შეხება არ ექნება. მინიმალური კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიცირება ცენტრალური ორგანოების მიერ უნდა მოხდეს. ამაში ჩართული იქნება ჩვენი სმინისტრო, საჯარო სამსახურის ბიურო, შესაძლოა სასწავლო ცენტრები, განათლების სამინისტროს, იუსტიციის ცენტრი და ა.შ. ამ საკითხზე უკვე თვეებია, ვმუშაობთ.

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ საჯარო სამსახური სისტემურად უნდა გავაჯანსაღოთ მუნიციპალურ დონეზე. დღეს იქ ქაოტური მდგომარეობა გვაქვს. თანამშრომლების 80% კონკურსგარეშე უვადოდ არის დანიშნული. განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც ინსტიტუციურად ყველაფერს ცვლის. მეორე მხრივ განათლებაზე და შეფასების სისტემაზე ვაკეთებთ აქცენტს. ეს არის კომპლექსურად შესახედი საკითხი და არა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, როგორც განაცხადეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ნათესავების მოყვანა რომ გვინდოდეს, სერტიფიცირებაზე სწორედაც არ ვილაპარაკებდით. სამწუხაროდ ეს არ არის ერთადერთი თემა, სადაც ასეთი ვითარება გვაქვს. პირადად მე 2002 წლის რეფორმის დროს იმ ჯგუფის ხელმძღვანელი ვიყავი, რომელმაც მთავრობის ალტერნატიული კანონპროექტი მოამზადა, 2005 წელს ვიყავი ალტერნატიული კანონპროექტის ლობისტი, ახლა ვარ ხელისუფლების მხარეს. მინდა ვთქვა, რომ სამივე შემთხვევაში თემასთან მიმართებით ფონტი ერთნაირია და აქცენტები ხშირად არასწორ თემატიკაზე კეთდება.

რეფორმა იმას არ ნიშნავს, რომ დავწეროთ კანონები და გავიტანოთ. მარტში, როდესაც სტრატეგია მივიღეთ და ევროსაბჭოს გავუზავნეთ, ყველაზე მთავარი რაც გვითხრეს ის იყო, რომ წინასწარ მზად უნდა ვყოფილიყავით იმისთვის, რომ პოლიტიკური შეთანხმება ძალიან ბევრ კომპრომისს გამოიწვევდა. გვითხრეს, კი გაქვთ ამბიციური გეგმები, მაგრამ ძალიან ბევრი რამის გადახედვა მოგიწევთ, იმიტომ რომ ეს პოლიტიკური შეთანხმების პროდუქტიაო. მაგალითად ავიღოთ საზოგადოებრივი საბჭოები. ეს ჩვენი აზრით საკმაოდ საინტერესო იდეაა. ევროპაში საზოგადოებრივი საბჭოების სხადასხვანაირი გამოცდილება არსებობს. ჩვენ ცოტა უფრო ფორმალიზებული გვექონდა, ვიდრე იქ არის. იქ ტრადიციულად არის ეს ხშირად ჩამოყალიბებული. თითქოს ეს ადვილი გასატანი უნდა ყოფილიყო. ამისი წინააღმდეგეები იყვნენ არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიები და რიგ შემთხვევებში ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციაც. გასაკვირია, შემოგვაქვს დემოკრატიული ინსტიტუტი, იკრიბებიან მოქალაქეები და თავიანთი აზრი მიაქვთ მუნიციპალიტეტამდე - ეს არის მექანიზმი. და ამ დროს ვინც დემოკრატიის სადარაჯოზე უნდა იდგეს, სწორედ მათგან მივიღეთ დარტყმები. ამიტომ ასე მოვიქცით, რადგან ამ არჩევნების ჩატარებას ეს ნაწილი ხელს არ უშლიდა, დროებით ამოვიღეთ. იმიტომ რომ რაც უფრო მეტი სადისკუსიო თემა იქნებოდა, მით უფრო გაიწელებოდა



კანონის მიღება და მით უფრო გაიზრდებოდა ალბათობა, რომ საერთოდ ვერ მიგველო კანონი. ეს თემა გადავდეთ, დანარჩენ ნაწილზე დისკუსია განვაგრძეთ, ბევრ საკითხზე შეთანხმებას მივაღწიეთ და კანონი მივიღეთ. თუმცა ეს საკითხი მნიშვნელოვანია და მას მოვუბრუნდებით.

რაც შეეხება რეგიონებს, ეს თემა 1995 წლიდან ტაბუდადებული თემაა, როდესაც ჩაიწერა კონსტიტუციაში, რომ ტერიტორიული მოწყობა არ შეიძლება. მაგრამ ამას სახელმწიფო ტერიტორიულ მოწყობასთან კავშირი არ ჰქონია. გუბერნატორებზე ვერ იქნება კამათი, იმიტომ რომ კონსტიტუციაში წერია, რომ გუბერნატორები გვყავს. საკითხი მარტივად დგას, გუბერნატორი ან იქნება ერთპიროვნული, ან გვერდით ეყოლება საბჭო, სადაც შევლენ საკრებულოს წარმომადგენლები და მას გაუწევინ მონიტორინგს. ეს იყო კოლეგიალური ორგანო გუბერნატორის გვერდით.

**თამარ გურჩიანი** - კონსტიტუციაში რომ არ ყოფილიყო, გადახედვდით გუბერნატორების ინსტიტუტს?

**თენგიზ შერგელაშვილი** - შესაძლოა გადაგვეხედა, უფრო იმ მიმართულებით, რომ უფრო გაგვეძლიერებინა ინსტიტუციურად რეგიონალური რგოლი, მაგრამ ეს სხვა თემაა. რეგიონული მნიშვნელობის პროექტების განხორციელებაში ამ როლს რასაკვირველია პოზიტიურად ვუყურებთ, მაგრამ ამას მექანიზმები სჭირდება, უცებ ვერ დავიწყებთ. ამიტომ რადგან გვაქვს გუბერნატორის ინსტიტუტი, ის ან ერთპიროვნული უნდა ყოფილიყო ან გვერდით სათათბირო ორგანო უნდა ჰქონოდა. ისევ გამოვიდნენ არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები, ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები და ესეც გააპროტესტეს. კი ბატონო, იყოს ერთპიროვნული. ამიტომ კომპრომისული ვარიანტი მოვამზადეთ, სადაც ძალიან მკრთალი ფუნქციებით აღჭურვილი საკონსულტაციო ორგანო გავაკეთეთ გუბერნატორის გვერდით.

დავა იყო იმაზე, რატომ შეიძლება არჩეული მერის ან გამგებლის გადაყენება. მაგალითად იტალიაში ადგილობრივ საბჭოს შემადგენლობის ნახევრით შეუძლია მისი გადაყენება, ოღონდ თვითონ საკრებულოც იშლება. გერმანიის რამდენიმე მიწაში ან ავსტრიაში არის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 10%-ს ან საკრებულოს ნახევარს შეუძლია დასვას საკითხი და საკრებულოს სიითი შემადგენლობის 2/3-ით შეუძლია დანიშნოს გადარჩევის არჩევნები. სხვათა შორის ჩვენს თავდაპირველ ვერსიაში ამ ვარიანტებს შორის ვმუშაობდით. ჩვენი მექანიზმი იმით განსხვავდება, რომ გადარჩევის არჩევნებია გამოტოვებული და პირდაპირ რიგგარეშე არჩევნები ინიშნება. იქ საკრებულოს მიერ უნდობლობის გამოცხადების შემდეგ მოსახლეობასთან ტარდება რეფერენდუმით და შემდეგ ინიშნება რიგგარეშე არჩევნები. ევროსაბჭომ პირდაპირ დაგვიწერა, ეტყობა ტრადიციით მოდის ბოლო 15 წელი, რომ ადგილობრივ დონეზე გამგებელსა და საკრებულოს შორის უფლებების გამიჯვნა ისევე გინდათ, როგორც ზემოთ პრეზიდენტისა და საკრებულოს. სინამდვილეში დასავლეთის ქვეყნებში ეს შტოები მუნიციპალურ დონეზე ასე არ არის გამიჯნული. ხშირ შემთხვევაში არჩეული გამგებელი არის ხოლმე ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარე.

ერთი მხრივ არის პირდაპირი არჩევითობა, რომელიც რისკებთან არის დაკავშირებული, ვერცერთმა მთავრობამ ვერ გაბედა პირდაპირი არჩევითობა, ამაზე

ყოველთვის იყო საუბარი, და მეორე მხრივ არის მექანიზმი, რომელიც მნიშვნელოვნად არის დაზღვეული. აქვე არის პოლიტიკური შემაკავებელი. წარმოვიდგინოთ საკრებულო, რომელმაც უნდობლობა გამოუცხადა მერს და მან 45 დღეში ისევ მოიგო არჩევნები. ამიტომ არ ვფიქრობთ, რომ ეს იქნება მუდმივი მექანიზმი. მაგრამ მთელი დარტყმა აქეთ წამოვიდა იმის სანაცვლოდ, რომ წავიდეთ იმ გზით, რომ ერთი მხრივ პირდაპირი არჩევითობა არის პირველი, კანონში ფინანსებზე, უფლებამოსილებებზე და ბევრ სხვა რამესთან შედარებით გაცილებით მეტს შეიძლება მივაღწიოთ პირდაპირი არჩევითობით. იმიტომ რომ პირდაპირ არჩეულ მერს მოკავშირედ და შემდგომი დეცენტრალიზაციის პროცესის ნაწილად ვხდით. ეს გაცილებით შორსმიმავალია, ვიდრე ის, რომ იყოს გადაყენების რაღაც მექანიზმი, რომლის სხვადასხვა ვარიაციები ევროპაშიც გვხვდება. ევროსაბჭომ დაგვიწერა, რომ ჩვენს პირობებში ეს მექანიზმი შეიძლება არსებობდეს და ამ თემაზე მკაფიო ნეგატიური პოზიცია არ ჰქონია.

საკითხი, რომელიც ტერიტორიულ ოპტიმიზაციას შეეხება, რასაკვირველია დროსთან მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული. საუბარი იყო ერთი წლით ადრე, მაგრამ მაშინ ვერ მოესწრებოდა ეს პროცესი, მათ შორის საარჩევნო ცვლილებებთან დაკავშირებით. შეიძლებოდა დარჩენილიყო არსებული მოდელი, ახლა ვმუშაობთ მის გაუმჯობესებაზე, პარალელურად პარლამენტში ამ თემაზე მიმდინარეობს განხილვები და შემდგომ, თუ კითხვები იქნება ამ თემაზე, კიდევ შეიძლება საუბარი. ერთი წლის წინ, როცა “თვითმმართველობის კოდექსი” შემუშავების პროცესში იყო, საამისო პირობები ნამდვილად არ ყოფილა.

**თამარ გურჩიანი** - თქვენი მოხსენება ამომწურავი იყო, მაგრამ პირადად მე კიდევ უფრო მეტი კითხვა გამიჩინა. შეგიძლიათ დასვათ კითხვები. თათული თოდუას მოვუსმინოთ.

**თათული თოდუა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** - მე მხოლოდ ერთ საკითხზე ვისაუბრებ. ეს გახლავთ თვითმმართველობის მოხელეთა გათავისუფლება. დაირღვა თუ არა რეგლამენტი? არასამთავრობო ორგანიზაციები - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, “სამართლიანი არჩევნები” და ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო, რომლებმაც გუშინ გავავრცელეთ განცხადება, ვფიქრობთ, რომ რეგლამენტი დაირღვა, რადგან ეს პრინციპული მნიშვნელობის საკითხია და მხოლოდ პირველ მოსმენაზე შეეძლო პარლამენტს მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება. რაც შეეხება მეორე მოსმენაზე, პლენარულ სხდომაზე ამ საკითხის ზეპირად გაჟღერებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე მოსმენა, პლენარული განხილვა არ არის ის ფორუმი, რომელზეც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიუწვდებათ ხელი. აღნიშნული ორგანიზაციები ესწრებოდნენ კომიტეტის სხდომას, თუმცა ეს საკითხი არ გაჟღერებულა. ამავდროულად პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მეორე მოსმენით მხარდაჭერილ კანონპროექტში აღნიშნული ნორმა ასევე არ მოხვდა და ის მხოლოდ მესამე მოსმენაზე დარიგებულ ტექსტში აისახა. ეს საკითხი ბოლომდე გამოვიძიეთ და დოკუმენტებითაც დადასტურებულა.

კიდევ ერთი საკითხი, რომლის თანახმადაც ახალმა კოდექსმა დაადგინა ფორმულა, რომლითაც გამოიანგარიშება თვითმმართველ ერთეულებში საჯარო მოხელეთა მაქსიმალური რაოდენობა. ეს ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა იწვევდეს შტატების შემცირებას. ანუ კანონის ძალით არის გამართლებული ერთი ხელის მოსმით თვითმმართველობის ყველა მოხელის გათავისუფლება. არც ამას ვეთანხებით, რადგან მიგვაჩნია, რომ ამ ცვლილების გარეშე რეორგანიზაციის შესაძლებლობას ითვალისწინებდა მოქმედი კანონი “საჯარო სამსახურის შესახებ” და თანაც ძალიან დიდი განსხვავებით. მაგალითად, თუ იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტში მუშაობს 60 ადამიანი, მაგრამ მხოლოდ 50 უნდა იყოს დასაქმებული, ნაცვლად იმისა, რომ ათი ყველაზე ცუდი შედეგის მქონე მოხელე გაუშვან ატესტაციის შედეგების მიხედვით, სამოცივე თანამშრომელს ათავისუფლებენ, რაც უსამართლოა. განხვავებით მანამდე მოქმედი კანონისა, რომელიც იტყოდა, რომ შტატების შემცირების გამო შესაძლოა მოხდეს რეორგანიზაცია, დაწესებულებას შეუძლია ჩაატაროს ატესტაცია და იმ შემთხვევაში, თუ ათი ზედმეტი თანამშრომელი ჰყავს, მხოლოდ ისინი გაუშვას, რომლებიც არ შეესაბამებიან საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მესამე საკითხი ეხება იმას, რომ ახალი კანონი არ ანსხვავებს ინდივიდუალურ გარემოებებს, არ აღიარებს არცერთი ადამიანის გამოცდილებას, კვალიფიკაციას და.ა.შ. და ბრმად მიემართება ყველას. მოქმედ კანონში არის ჩანაწერი, რომელიც ამბობს, რომ თუნდაც ატესტაციაში ცუდი შედეგის ჩვენების გამო არ შეიძლება გაათავისუფლო ორსული ქალი ან ქალი, რომელსაც ჰყავს სამ წლამდე ასაკის ბავშვი. ეს არის მკაცრად გამონაკლისი შემთხვევა თუნდაც იმ გარემოებების არსებობისას, როდესაც ატესტაციის შედეგად მოხელე ვერ აიღებს ათანადო ქულას. მაგრამ ახალი კანონი ვერც ამგვარი ტიპის თავისებურებებს ხედავს და ეს ძალიან სამწუხაროა.

მეოთხე საკითხია როგორ გამოიყურება არაკონსტიტუციური დებულება წინასაარჩევნო ჭრილში. აქ ძალიან ბევრი რისკი ჩნდება და ამასთან დაკავშირებით გვქონდა მინიშნება. ასევე გავიხსენებ 20 თებერვალს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარს, სადაც მან თქვა, რომ შეიძლება ბევრს აქვს განცდა, რომ თავდადება სათანადოდ არ დაუფასდა, გავაკეთებთ ყველაფერს, რომ ვინც ჩვენთან იბრძოდა, უყურადღებოდ არ დარჩეს. იმავე დღეს ბატონი კალაძე აცხადებს - ის ნიჰილიზმი, რომელიც იყო ჩვენს მხარდამჭერებში დასაქმების მიმართულებით, ყველანაირად იქნება გადაწყვეტილი. ეს არის ის კომენტარები და ზოგადი კონტექსტი, წინასაარჩევნო პროცესებში არაკონსტიტუციური დებულების შემოტანა, რომელიც გვიძლიერებს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, ხომ არ მოხდება ამ დებულების წინასაარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება.

**თენგიზ შერგელაშვილი** - ნორმის კონსტიტუციურობა-არაკონსტიტუციურობაზე იმსჯელებს საკონსტიტუციო სასამართლო, თუ მოსარჩელე გამოჩნდება. მეორე და მესამე მოსმენისას დარიგებულ ყველა ტექსტში იყო ეს შენიშვნა. მეორე მოსმენაზე პლენარულ სხდომაზე განხილვა 13-საათნახევარს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში თითოეულ მუხლთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები ვერ აისახებოდა კენჭისყრამდე, რასაკვირველია დარიგდა მესამე მოსმენაზე. ყველა კანონი ასე მიიღება.

მაინტერესებს თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად სამართლიანია 2012 წლის ივნისამდე უბრალო ფარატიანა ფურცლით დანიშნული ყველა ადამიანი, რომელიც

შეადგენს შტატების 80%-ს, იყოს საჯარო მოხელე და კონკურსი შეეხებოდეს მხოლოდ 2012 წლის ივნისის შემდეგ დანიშნულებს. როცა ჩვენი მხრიდან უსამართლობაზე მიუთითებთ, მინდა თქვენი კომენტარი იმის შესახებ, ეს რამდენად სამართლიანია.

**თამარ გურჩიანი** - ბატონო თენგიზ, თათული თოდუამ კიდევ სამი კითხვა დასვა - ორსულ ქალებთან დაკავშირებით, ანუ ერთი ხელის მოსმით ყველა კატეგორიის ადამიანს რომ ეხება ეს საკანონმდებლო ცვლილება, არის თუ არა სამართლიანი და ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით.

**თენგიზ შერგელაშვილი** - დღეს მოქმედი “კანონი საჯარო სამსახურის შესახებ” ითხოვს, რომ ყველა მოხელე კონკურსით იყოს დანიშნული. ვინც კონკურსით არ არის დანიშნული, ყველა მოვალეობის შემსრულებელია გარდა ერთი გამონაკლისისა, იმ ადამიანები, რომლებიც დანიშნულები არიან 2012 წლის ივნისამდე. შესაბამისად ეს უსამართლობა ამით დავძლიეთ. ორსულ ქალებს რაც შეეხება, გასაგებია, რომ არსებობს ინდივიდუალური გამონაკლისები, ისინი არიან მოვალეობის შემსრულებლები. მაგალითად თუ ახლა სამინისტროში ვიღაც მოვალეობის შემსრულებელია, თუ მისი გათავისუფლება არ შემიძლება, მოვალეობის შემსრულებლად დარჩება მანამდე ვიდრე მექნება ხელშეშლის პირობები მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ანუ მოვალეობის შემსრულებლობა მას გაუგრძელდება.

**მიხეილ მირზიაშვილი** - ვცდილობ დავესწრო ამ თემასთან დაკავშირებულ შეხვედრებს. მსურს გავარკვიო, რაც ხდება, თვითმმართველობის რეალური რეფორმა თუ არ არის რეალური რეფორმა. ბატონმა დავითმა ბრძანა, რომ შავ-თეთრ ფერებში არ უნდა ვმსჯელობდეთ. მან გვითხრა, რომ კიდევ 71 კრიტერიუმი შეუძლია ჩამოთვალოს, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი არის ჩართულობა. მსჯელობა იყო ხალხის კვალიფიკაციის მიხედვით [გათავისუფლებაზე], სულ რომ კრისტალურად ჩატარდეს ეს პროცესი, მაინც არის მოდერნიზაციის რეფორმა და არა დემოკრატიის და ჩართულობის. ეს ნაწილი ამ თვალსაზრისით ამას არ პასუხობს. თუ საზოგადოებრივი საბჭოები არ იქნება, თუ სოფელში არ აირჩევენ, და კიდევ ბევრი “თუ” ჩნდება, მაშინ რაღა შეგვრჩა ხელში? არის ეს რეალური რეფორმა? თუ ჩართულობა არ იზრდება, რით არის ეს თვითმმართველობის რეფორმა?

**თენგიზ შერგელაშვილი** - როდესაც რეფორმას ვიწყებდით, შემდეგი სიტუაციის წინაშე ვიდექით. 2006 წელს საქართველოში გაუქმდა 1004 თვითმმართველი ერთეული, რის შემდეგაც დიდი ბრიტანეთის შემდეგ ევროპაში მეორე ადგილზე ვართ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საშუალო რიცხვით. ჩვენ რომ წავსულიყავით გარკვეული ინტერესების ფოკუსირებაზე, მაგალითად საქალაქო ურბანული ინტერესი იყო ერთი ტიპის ინტერესი, რომელსაც ექნება თავისი თვითმმართველობა, მეორე მხრივ არსებობს რურალური ინტერესები, ბარს სხვა ინტერესი აქვს, მთას - სხვა, დღეს გვაქვს მუნიციპალიტეტები, სადაც ეს ყველაფერი ერთად არის ჩაყრილი. ეს მუნიციპალიტეტები ჯერ შიგნით არის გასათანაბრებელი. როგორ უნდა დაგვეწყოს ეს პროცესი? გამოვყავით 7 თვითმმართველი ქალაქი და ჩავდეთ ოპტიმიზაციის მექანიზმი. ახლა ვმუშაობთ ამ 7 ქალაქის გარშემო



თემების ჩამოყალიბებაზე. ჩაიდო გამოქვეყნების, კონსულტაციების მექანიზმები. ვფიქრობთ, რომ ეს პროცესი დასრულდება 2016 წლისთვის. რაღაც ნაწილი არჩევნებამდე დაიწყო, მაგრამ ძირითადი ნაწილი არჩევნების შემდეგ გაგრძელდება. ამ პროცესში ჩართული იქნება საკრებულოები, საზოგადოება, რამაც უნდა გამოიწვიოს საჯარო ხელისუფლების ფიზიკური და მენტალური დაახლოება მოქალაქეებთან. ეს არის ჩართულობის ერთ-ერთი საშუალება.

მერის და გამგებლის პირდაპირ არჩევა მნიშვნელოვნად ზრდის პასუხისმგებლობას და ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩართულობისთვის, იმიტომ რომ ეს განსხვავებული ტიპის არჩევნებს მოითხოვს, განსხვავებულ ურთიერთობას მოითხოვს ამომრჩეველთან, იმასთან შედარებით რაც გვექონდა საკრებულოს პარტიული სიებით არჩევის შემთხვევაში. ეს არის ჩართულობის მეორე მექანიზმი.

მესამე - ფუნქციების და უფლებების გაზრდა. დღეს მუნიციპალიტეტს, იმისათვის, რომ საკითხების გადასაწყვეტად ფინანსები მოიძიოს, სჭირდება მოძებნოს გუბერნატორი ან მაჟორიტარი ან ფინანსთა თუ რეგიონული სამინისტროს წარმომადგენლები. ვთქვათ მესტიას სჭირდება ტრაქტორის შეძენა გზების გასაწმენდად. მან უნდა წარმოადგინოს მთელი რიგი დოკუმენტაციები, კომისიაზე უნდა გავიტანოთ, მერე მოვამზადოთ მთავრობის განკარგულების პროექტი, განკარგულების პროექტი შევათანხმოთ ფინანსთა სამინისტროსთან, დახარჯული ხომ არ აქვს ასეთი პროექტებისთვის განკუთვნილი თანხები, მერე გადავაგზავნოთ მთავრობაში, მან მიიღოს განკარგულება და ა.შ. მთელი ეს პროცედურა ორ თვემდე გრძელდება. ამიტომ მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს ფული და ექსკლუზიური უფლებამოსილებები, რომელთა გადაწყვეტაშიც იქნება ავტონომიური. რაც მთავარია ახლოს იქნება მოსახლეობის ინტერესთან. ეს არის ჩართულობა, ჰქონდეს მას პასუხისმგებლობა, რესურსები, რომ ავტონომიურად გადაწყვიტოს, ჰქონდეს ტერიტორიული და სხვა ტიპის სიახლოვე. რაც შეეხება მოქალაქეთა ჩართულობის დამატებით მექანიზმებს, საზოგადოებრივ საბჭოებზე ვთქვით, რომ ამ წლის განმავლობაში მომზადდება შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა დამატებითი მექანიზმების ჩასადებად. ეს არის პირველი ნაბიჯები და ვფიქრობთ, შედეგს გამოიღებს ჩართულობის გაზრდის კუთხითაც.

**თამარ გურჩიანი** - კითხვა იყო, არის თუ არა რეფორმა რეალური.

**თენგიზ შერგელაშვილი** - რეფორმა არის აწმყო-განგრძობით დროში.

**დავით ლოსაბერიძე** - ბატონი თენგიზი ალბათ როგორც პოლიტიკოსი ვერ ამბობს ან არ ამბობს ამას. პირველი, რაც ამ პროცესში ჩართულმა არასამთავრობოებმა დავინახეთ, ის არის, რომ ძალაუფლების მოპოვების და შენარჩუნების მაქსიმალური სურვილი არის დედამიწის ისტორიაში ნებისმიერი ხელისუფლების იმანენტური თვისება. ეს ისევე გასაგები პროცესია, როგორც გრიპი. ფაქტია, რომ გრიპი ემართებათ ადამიანებს. თავიდან საკმაო ეიფორიული განწყობა იყო. ძალიან მაღალი იყო მხარდაჭერა და ვიტყვი იმას, რასაც პოლიტიკოსი შერგელაშვილი არ იტყვის, პროცესის დამკვრავში გადამწყვეტი როლი ითამაშა ექსპრემიერის პრინციპულმა პოზიციებმა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც, საპარლამენტოშიც, არ ვგულისხმობ ოპოზიციას, თვითონ მმართველ

ძალაში არ იყო წინააღმდეგობა. ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება ხალხს ფული მისცე და მან მთავრობის უკითხავად დახარჯოს. ეს მომენტი მართლა არსებობს და არ არის იმაზე საუბარი, რომელიმე ხელისუფლებაში იყო თუ არა.

რა კეთდება ამ რეფორმით? პირველი, ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით გავაგრძელებ იმ მომენტიდან, როცა ბატონმა მინისტრის პირველმა მოადგილემ ბრძანა, რომ პროცესი აწმყო-განგრძობით დროშია. ოპტიმიზაციის, დაახლოების მომენტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ამ მიმართულებით. ის დაიწყო 7 ქალაქით, მაგრამ ზვავის მეთოდით შეიძლება იყოს გაგრძელებული. მაგალითად, ვიცით სხვა ინიციატივები, თუშები უკვე ითხოვენ და გისაბუთებენ კიდევ, რატომ არის თუშეთში სიტუაციის ახლებური მოწყობა აუცილებელი. ანალოგიური ვითარებაა ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ჭიათურაში. კანონი სულ ახალი მიღებულია და პროცესები უკვე დაიწყო. საზოგადოება აფიქსირებს თავის პოზიციებს. მათ შორის არის ჯვარი, რომელიც ადრეც ითხოვდა ამას, 12 ათასი ხელმოწერაც შეაგროვა, მაგრამ თითქმის პირდაპირი მნიშვნელობით ეს ხელმოწერები აჭამეს მათ ავტორებს, იმიტომ რომ სახელმწიფო არ ჩამოშლილიყო. ადგილზეც და ცენტრშიც ერთი პოლიტიკური ძალა იყო აბსოლუტური დომინანტი, ეს იყო 2009-10 წელი. მაგრამ მიუხედავად ამისა ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავის მომხრეებსაც კი არ გამოუცხადა ნდობა, რომ მათ მიეღოთ გადაწყვეტილება. ამას ერთი პარტიის სამაგებლად არ ვამბობ. ეს არის ბუნებრივი თვისება, თუ მივუშვით ეს პროცესები. ოპტიმიზაციის პროცესებზე ერთ-ერთი გუბერნატორის მიერ პირდაპირ ითქვა, ეს როგორ დაგვემართა, 7 ქალაქი როგორ გავგეპარა ხელიდან, როგორ შეიძლება ხალხს ანდო გადაწყვეტილებების მიღებაო. მას გულწრფელად ჰგონია, რომ თვითონ უნდა იზრუნოს ხალხზე. საფრთხე არსებობს, რომ არჩევნების მერე ოპტიმიზაციის პროცესი შეჩერდეს.

პირდაპირ არჩევნებზე ყველა აღიარებს, რომ დადებითია, თუმცა საარჩევნო ჯგუფშიც და კოდექსშიც არსებობდა მთელი რიგი შეთავაზებები საკრებულოში ყველა ხედვის წარმომადგენლობის გაზრდისა. იყო საუბარი პრეფერენციებზე, გერმანულ, ფინურ მოდელებზე, მაგრამ საბოლოოდ არ ყოფილა გაზიარებული. დგას საკითხი, ამაზე ჩერდება საზოგადოება თუ შემდგომში ვითხოვთ ეს პროცესებიც იყოს დაყენებული, თუ მიღწეულზეც ვამბობთ, რომ ამან არ გაამართლა.

კოდექსში უშუალოდ არ არის ასახული ფინანსების საკითხი, გამიჯვნის საკითხი. ეს არის საბიუჯეტო კოდექსის საქმე. თუმცა მიღებულია საშემოსავლო გადასახადის განაწილების პრინციპი. მაგრამ პრინციპიც არის და პრინციპიც. შეიძლება გავანაწილო ძმურად ან თანასწორად, ერთი ცნობილი საბჭოთა ანეგდოტის არ იყოს, ანუ 1% თქვენ, 99% - მე. ან მეორე ვარიანტი -50% ორივე მხარეს, ან ცოტა ნაკლები ერთ მხარეს, გამომდინარე იქიდან, ვის რა ფუნქციები ეკისრება. მეორე - როცა ერთ ჯიბეში დამატებით თანხას გაძლევთ, ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მეორე ჯიბიდან იმავე ოდენობის თანხას უკან გართმევდეთ და მერე გითხრათ, რომ ხომ მოგეცით ფული. ამისი ალბათობაც შეიძლება არსებობდეს, ანუ ტრანსფერის შემცირებაზე წავიდეს საუბარი. ესეც პრობლემაა. თამაშის წესებს თუ შევადარებთ, ისინი აშკარად შეიცვალა. იცვლება პოლიტიკური კონიუნქტურიდან თუ განვითარებიდან გამომდინარე. პოსტსაბჭოთა სისტემისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური ბრძოლა გლადიატორების პრინციპის მიხედვით, დამარცხებული უნდა მოკვდეს. პოლიტიკური ძალა, რომელიც მარცხდება არჩევნებში, გადის ცხოვრების სარბიელიდან. ასეთია “მრგვალი მაგიდა”, “აღორძინება”, “მოქალაქეთა

კავშირი”. არის საშიშროება თვითონ ამ პარტიისთვის, რომ ვერც ნაციონალური მოძრაობა გააგრძელებს [არსებობას]. და არის საფრთხე, რომ როცა 2020 თუ 2030 წელს ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენის საკითხი დადგება, მოხდება კოლექტიური გადასვლა “ოცნებიდან” ახალ პარტიაში და ისიც შეწყვეტს არსებობას.

პოლიტიკური რეალობა ჩვენი ტიპის ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპა ამ მხრივ წინ არის წასული, გვაჩვენებს, რომ შემოდის ახალი პრინციპი, საფეხბურთო ლიგის პრინციპი, როცა ყველას ეძლევა შანსი ითამაშოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნდა გამოჩნდეს ვიღაც ახალი მესია, გუნდის კაპიტანი, რომელმაც სრულად უნდა გაანადგუროს მტერი. დამარცხება ნიშნავს, რომ ტოვებ ლიგას, მაგრამ თუ მაგარი ხარ, გაქვს შანსი გამოხვიდე და შენი პოზიცია განიმტკიცო. სიტუაცია არის ასეთი. რამდენად იქნება საზოგადოება მზად არ აყვეს ფრუსტრაციას და ამით გზა გაუხსნას კონსერვატორებს, არ ითქვას, რომ ამან ვერ გაამართლა და ხომ არ ჯობია აღდგეს ძველი სისტემა. არის მეორე შანსი, რომ შემდგომ ნაბიჯებზე იყოს მიწოლა. მე როგორც ამ სფეროში მაქსიმალისტი, ვისურვებდი, რომ ეს საკითხი ახლავე გადაწყვეტილიყო. ასევე ვისურვებდი ეს საკითხი ჯერ კიდევ 90-იან წლებში გადაწყვეტილიყო, როცა ამისი შანსი არსებობდა. 1992 წელს ერთი თუ ორი ხმა დააკლდა თვითმმართველობის კოდექსის გასვლას. ბევრი რამ მაშინვე დაიწყებოდა, მაგრამ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

ნებისმიერი ხელისუფლება უნდა შეეგუოს იმას, რომ პირდაპირ არჩევნებში თვითმმართველობის უფლებების გაზრდის პირობებში ადგილებზე შეიძლება მოვიდეს პოლიტიკური ძალა, რომელიც არ წარმოადგენს ცენტრში მმართველი პოლიტიკური ძალის ადგილობრივ ორგანოს, ანუ სხვა პოლიტიკური ძალა მოვიდეს. აქაც არსებობს საფრთხე - ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, ამასაც სერიოზულად უნდა შევხედოთ, რამდენად მზად იქნება საზოგადოება იმისათვის, რომ ამაზე დახუჭოს თვალი. ჩვენ გვაქვს ტრადიცია ყოველ ათ წელიწადში მშვიდობიანად თუ არამშვიდობიანად ვამხობთ ძველ დრაკონს, მოდის ახალი რაინდი, იკავებს დრაკონის ადგილს, შემდეგ კი თვითონ გადაიქცევა დრაკონად. შემდეგ ისევ თავიდან იწყება ეს ციკლი. ანუ ვქმნით თუ არა სისტემას, სადაც ხელისუფლების ცვლა ერთ დონეზე არ იწვევს აბსოლუტურად ყველას გადაბარებას ახალ ბანაკში, და სადაც რჩება პოლიტიკური ბრძოლის საშუალება და რაც მთავარია, რჩება თუ არა აუცილებლობა იმისათვის, რომ კონსენსუსზე პოლიტიკური ბრძოლა იყოს გამართული. რეფორმის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა ჯობია მოდერნიზაცია ერთი ხელის მოსმით, სწრაფად გაკეთდეს, მაგრამ არჩევანი ჩვენზეა.

**ლიზი სოფრომაძე** - ყველაფერი მაინც პოლიტიკურ ნებადღე მიდის. კანონი რაც უნდა კარგად იყოს გაწერილი, თუ საამისო სურვილი და ნება არ არის, არ იმუშავებს. მე მაინც უფრო ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, იმიტომ რომ მახსოვს 2005 წელი, როდესაც რეფორმა მიმდინარეობდა, განხილვებსაც ძალიან ფორმალური ხასიათი ჰქონდა არც ადგილებზე იყო ასეთი დიდი ინტერესი. დღეს მე ადგილობრივი ხალხის იმედი მაქვს. ისინი ძალიან აქტიურები არიან და ჩართულები არიან ამ პროცესში. ეს ჩემთვის წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა უფრო მეტს ვისურვებდი. ვისურვებდი სოფლების გაერთიანებებს თავის მუნიციპალიტეტი ჰქონდეს, ქალაქს - თავისი და მართლა მიგვეცა ამ ადამიანებისათვის მეტი საშუალება და დამოუკიდებლობა, თუკი ამას ვაცხადებთ.



**ირაკლი სულავა, სტუდენტი** - ძალიან რთულად არის საქმე რაიონებში და ასე გაგრძელდება, ვიდრე რაიონები დამოკიდებული იქნება თბილისიდან “მაგიურ” ზარზე. ბატონ თენგიზთან მაქვს კითხვა, რატომ არ მიეცა თვითმმართველობებს მეტი ფინანსური თავისუფლება რეფორმის პერიოდში? თვითმმართველობის რეფორმის პერიოდში ძალიან აქტიურობდა საქართველოს საპატრიარქო. რატომ მოხდა მათი ჩარევა ამ პროცესში? ჩვენ ავირჩიეთ მთავრობა, რომელმაც შემოგვთავაზა რეფორმები და მე მგონი თვითონ უნდა განახორციელოს და არა ეკლესიამ. მას თავისი ფუნქცია აქვს, სახელმწიფოს კი თავისი.

**გულიკო ზუმბაძე, რესპუბლიკური პარტია, თბილისის საკრებულო** - არ მახსენდება თვითმმართველობის რეფორმა, დისკუსიები ამდენ ხანს გაგრძელებულიყო. ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო ამით ჩვენს ქვეყანაში. 1998 წელს ადგილობრივი არჩევნები ისე ჩატარდა, რომ მოსახლეობამ ვერ გაიგო, საკრებულო აირჩია თუ ადგილობრივ გამგეობაში წარმომადგენლები. 2006 წელს ისე დანიშნა ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნები, რომ მარიამობას დაემთხვა და დასვენების დღეს დარბოდნენ ცესკოში პარტიები განაცხადის შესატანად. მაშინ თბილისში სამ-სამ კაცს ირჩევდნენ უბნების მიხედვით და ხალხს კარგად არ ჰქონდა წარმოდგენილი, რა ტიპის არჩევნები იყო. თუმცა მაშინ ეს წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასა ნაციონალურმა მოძრაობამ. მერე იყო 2010 წელი და მაშინაც, როცა უკვე თვითონ იყვნენ მზად, მაშინ მოულოდნელად დანიშნეს არჩევნები და ფაქტის წინაშე დააყენეს პოლიტიკური ორგანიზაციები და მოსახლეობა. ასე რომ ძალიან კარგია, რომ განხილვა ამდენ ხანს მიმდინარეობს, მაგრამ მაინც ძალიან ცოტაა.

90-იანი წლებიდან მოყოლებული 2006 წლამდე, ვიდრე “რესპუბლიკურ პარტიაში” აქტიურად ჩავერთებოდი, სათემო ტიპის ორგანიზაციის თავმჯდომარე ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს გვქონდა თვითმმართველობაზე, მონაწილეობაზე, მონიტორინგზე პროექტები, ამან ეს პროცესები ინსტიტუციონალურად ვერ დაამკვიდრა. ამ პროექტთან დაკავშირებით ყველაზე მეტად გულს საზოგადოებრივი საბჭოების ამოღება მწყვეტს. ბატონი თენგიზის განცხადება, რომ კანონპროექტში შეიძლება მომზადდეს ცვლილებები და ხელახლა იყოს შემოტანილი, იმედს მაძლევს, რომ შესაძლოა მართლაც ასე მოხდეს. მინდა კიდევ ერთხელ საფუძვლიანად მოვისმინო, როდის მომზადდება ეს ცვლილებები. თვითმმართველობა ნამდვილად არის მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საზოგადოებრივი ჯგუფები რომ ყოფილიყო ჩვენთან დამკვიდრებული, თბილისის ბიუჯეტთან დაკავსირებით რაც ხდება კარგად მოგეხსენებათ, ეს არ მოხდებოდა. როცა საზოგადოება თავად მონაწილეობს ბიუჯეტის დაგეგმვაში, მის განხორციელებაში, მონიტორინგში, ბუნებრივია, რომ საკრებულოს სხვა აღარაფერი რჩება გარკვეული კორექტირების შეტანისა და მიღების გარდა. მაინტერესებს როდისთვის გაიწერება კანონით საზოგადოებრივი ჯგუფების ფუნქციები, მოვალეობები, რაც იქნება რეალური თვითმმართველობის განხორციელების გარანტი.

- მე მსურს წამოვჭრა საკითხი, რომელიც ძალიან ბევრ ადამიანს ალელვებს. ჩემთან ერთად გახლავთ ავსტრიის მოქალაქე ჰარალდ ჰორნუნგი, რომელსაც ბატონ ნარმანიასთვის სურდა ამ კითხვის დასმა. ჩვენ წარმოვადგენთ “ინვესტორთა კავშირს”. ჰარალდ ჰორნუნგი 2003 წლიდან იმყოფება საქართველოში. საკითხი, რომელზეც ვისაუბრებ, სამართლიანობის



აღდგენას ეხება. ბატონმა ჰარალდმა ძალიან დიდი თანხა ჩადო სატრანსპორტო ბიზნესში. მერე მერიამ ჩაატარა უსამართლო ტენდერი და ძალიან მნიშვნელოვანი ბიზნეს-სეგმენტი განიღვენა ბაზრიდან. 2010 წლიდან მოყოლებული უშედეგოდ ვეძებთ სამართალს ჩვენც და ბევრი სხვა ადამიანიც. არც ახალი ხელისუფლების პირობებში შეცვლილა რამე ამ მიმართულებით. თბილისის საკრებულოს წარმომადგენელმა ქალბატონმა გულიკო ზუმბაძემ ძალიან კარგად იცის ჩვენი პრობლემა. ის შეეცადა მხარში ამოგვდგომოდა, მაგრამ ეს საკითხი სცდება მის კომპეტენციას. თვითმმართველობის პროექტში იქნება თუ არა შეტანილი საკითხი ადამიანებისთვის, რომლებმაც დაკარგეს საკუთრება, მისი დაბრუნების შესახებ. არ ვიცი ეს ვისი კომპეტენციაა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ასეთი ათასობით ადამიანია.

**გიორგი ჩიტაიშვილი, მოქალაქე** - მაინტერესებს რამდენად არის კანონში დაცული თვითმმართველობის ფინანსური უზრუნველყოფა და თავისუფლება. იმიტომ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში განხორციელებისას პრობლემები წარმოიქმნება.

**ოთო კობახიძე, სტუდენტი** - ის, რომ დღეს დედაქალაქში ძალიან ბევრ ადამიანს რატომღაც ქედმაღლურად ჰგონია, რომ სოფლებს არ შეუძლიათ გადაწყვიტონ თავიანთი პრობლემები და იმსჯელონ ამ საკითხებზე, არის ფეოდალური ხანისთვის დამახასიათებელი აზროვნება. სეკულარულ სახელმწიფოში, რესპუბლიკაში ვცხოვრობთ და ასეთი აზროვნება ჩემი აზრით სამარცხვინოა. 18 წელი ვცხოვრობდი სოფელში და ძალიან კარგად ვიცი სოფლის სპეციფიკა. ცენტრალური მთავრობა წყვეტდა სოფელში შეყვანა თუ არა გაზი თუ ტრაქტორი. წინა ხელისუფლების დროს ისიც მომხდარა, რომ თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 70%-ს არ მიიღებდნენ, შეეძლოთ ეს ტრაქტორი ამ სოფლიდან წაეყვანათ და მეორე სოფლისთვის მიეცათ. დემოკრატია ვერ დამყარდება ქვეყანაში, თუ არ გავითვალისწინებთ ერთ რამეს, რომ სოფლებში, დაბებში, რაიონებში მცხოვრებ ადამიანებს უნდა მივცეთ საშუალება, მაქსიმალურად მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის მართვაში.

**მალხაზ ჩემია, რესპუბლიკური პარტია** - მაინტერესებს თქვენი მოსაზრებები თემისა და თვითმმართველი ქალაქის უფლებაზე, დაასახელოს თავისი კანდიდატურა ადგილობრივ არჩევნებში არაპარტიული ნიშნით.

მეორე თემა - საკრებულოსა და გუბერნატორის ინსტიტუტის ურთიერთმიმართება რამდენად ეწერება ხელისუფლების დეცენტრალიზაციის კონტექსტში, რამდენად დემოკრატიულად მიგაჩნიათ? ერთ პერიოდში გუბერნატორის ინსტიტუტი არაკონსტიტუციურადაც იყო მიჩნეული.

**თამარ გურჩიანი** - შევაჯამებ დასმულ შეკითხვებს. კითხვა დაისვა ფინანსურ დამოუკიდებლობაზე, რა მექანიზმები გვაქვს ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, როგორი იყო საპატრიარქოს როლი, რატომ ჰქონდა, იმიტომ რომ სეკულარულ სახელმწიფოში ასეთ ჩარევას კითხვის ავტორი მთლად მართებულად არ მიიჩნევდა. შემდეგ იყო ქალბატონ გულიკოს კითხვა საზოგადოებრივ საბჭოებზე. ბატონმა დავითმა უკვე გასცა ამ კითხვას პასუხი. საზოგადოებრივი საბჭოების შექმნის ვალდებულება უკვე აღებულია. მაგრამ მომხსენებლებმა იქნებ დააზუსტონ, როდის იქნება

ეს ნორმები მიღებული. ინვესტორთა კავშირის წარმომადგენლის კითხვა იყო საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, როგორ წამოგიდგენიათ ამ პრობლემის მოგვარება. ასევე დაისვა კითხვა დამოუკიდებელ კანდიდატებთან და გუბერნატორის ინსტიტუტთან დაკავშირებით.

**თენგიზ შერგელაშვილი** - ბატონმა დავითმა თქვა, რომ ძმურად გაყოფა შეიძლება იყოს 1%-ად და 99%-ად. ასე გაყოფ საშემოსავლო გადასახადს თუ შუაზე, 50/50-ზე, ტექნოლოგიურად ორივეს ერთნაირი მოსამზადებელი პერიოდი სჭირდება, იმიტომ რომ თავის დროზე რომ ცენტრალიზაცია მოხდა, იდენტიფიცირებული არ ყოფილა ეს გადასახადები, ყველაფერი ერთნაირად იყრება სახელმწიფო ბიუჯეტში. ჩვენ თან გვინდა არა მარტო ზიარი გადასახადი გახდეს და მას დარჩეს, არამედ ახლა თუ ეს დამქირავებლის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ხდება, დაქირავებულის რეგისტრაციის მიხედვით მოხდეს, რაც არსებით ტექნოლოგიურ ცვლილებებს მოითხოვს და ამას დრო სჭირდება. მაგრამ ეს პროცესი დაწყებულია. პროპორცია რომ ვნახოთ თბილისსა და რეგიონებს შორის, თითქმის დიამეტრალურად იცვლება დამქირავებლების თუ დაქირავებულების მიხედვით. კანონი გვავალდებულებს, რომ პარლამენტს 1 სექტემბრამდე წარვუდგინოთ კანონპროექტი, მაგრამ შესაძლებელია საგაზაფხულო სესიის ბოლომდე უკვე მზად გვქონდეს.

რაც შეეხება ეკლესიას და მთავრობას. ვერ გავიხსენებთ მთავრობის სხდომას, რომელსაც ეკლესიის წარმომადგენელი ესწრებოდა, ვერც რაიმე ტიპის ჩარევას გავიხსენებ. უბრალოდ, გაკეთდა განცხადება, რომელმა საზოგადოებაში დისკუსია გამოიწვია. ეკლესიას, როგორც ნებისმიერ საზოგადოებრივ ინსტიტუტს, პარტიას, კონფესიების წარმომადგენლებს აქვთ საშუალება, რომ თავისი პოზიციები დააფიქსირონ. ეს მათი პოზიციაა, თუმცა ჩემი აზრით გაუგებრობის შედეგია, იმიტომ რომ საინფორმაციო ნაკადები როგორც ჩანს ისე არ მიდის ამ ქვეყანაში, როგორც უნდა მიდიოდეს.

შემდეგი საკითხია საზოგადოებრივი საბჭოები. კანონი წლის ბოლომდე გვავალდებულებს. იმდენი დედლაინი გვაქვს 1 ოქტომბრის ჩათვლით, ამ საკითხზე მუშაობა ალბათ რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყება. ძირითადი ბაზა უკვე იყო. იყო რამდენიმე საკითხი, რომელიც შეუთანხმებლობას იწვევდა, როგორც თბილისის საუბნო საბჭოებთან ისე საზოგადოებრივ საბჭოებთან დაკავშირებითაც. კანონი გვავალდებულებს, რომ 1 იანვრამდე წარვადგინოთ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მანამდეც მოესწრება. კარგი იქნება თუ ეს პროცესი საშემოდგომო სესიის დასაწყისისთვის უკვე კანონპროექტი იქნება.

რაც შეეხება კერძო საკუთრებას, აქ არსებობს კონკრეტული მექანიზმები, ვერ ვიტყვით, რომ არაფერი შეცვლილა, თუმცა კონკრეტული საქმე არ ვიცი, ტენდერიც იყო ნახსენები, არ ვიცი თბილისის მერი როგორ ატარებს ტენდერებს, მაგრამ მე რა ტენდერიც ჩამიტარებია, ძირითადად ელექტრონული პრინციპით ტარდება და ამ მხრივ პრობლემა არ არის ხოლმე. ადრე უფრო იყო, რომ ტენდერამდე გვარდებოდა რაღაც საკითხები, ვილაცებს არ აღებინებდნენ ტენდერში მონაწილეობას და ა.შ. ასეთი საკითხებისთვის საქართველოს მთავრობამ შექმნა პრობლემური ინფრასტრუქტურული პროექტების კომისია, რომელსაც ჩვენი მინისტრი ხელმძღვანელობს. ნებისმიერი პირი, რომელიც შეიტანს საჩივარს სამართალდამცავ ორგანოში და იტყვის, რომ ამა და ამ საჯარო მოხელემ ასეთი და ასეთი არაკანონიერი ქმედებით გამოიწვია პრობლემა, ეს დოკუმენტები შევა კომისიაში და ის განიხილავს. ამ კომისიამ ძალიან ბევრი პრობლემა მოაგვარა.

საუბარი იყო საკრებულოსა და გუბერნატორის ურთიერთმიმართებაზე. ეს ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური თემა აღმოჩნდა. მაგრამ კარგია, რომ დისკუსიები გაიხსნა. ადრე ბევრი თემა ტაბუდადებული იყო. ფედერალიზმზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, რეგიონალიზმთანაც კი არ ყოფილა მიახლოებული ის მინიმალისტური ნაბიჯები, რაც იყო ჩაფიქრებული. ახლა კიდევ უფრო მინიმალისტური გახდა. იცით რომ შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია და ვფიქრობ, რომ ეს დისკუსიები ამ კომისიის ფარგლებში უნდა გადავიდეს, იმიტომ რომ კომისიაში ხუთი ჯგუფია და ერთ-ერთი მიმართულება სწორედ ტერიტორიული მოწყობა და თვითმმართველობაა.

**ლიზი სოფრომაძე** - შესაძლოა კანონით დღესაც ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია დამოუკიდებლად თავისი ბიუჯეტის განკარგვა, დაგეგმვა, თუმცა ადგილებზე ისეთი გადაწყვეტილებები მიიღება, რომ მეტი თანხა რჩება რაიონულ ცენტრს და ბიუჯეტის 10% იხარჯება სოფლებში. ვისურვებდი, რომ ამ ტერიტორიული დაყოფით სოფელს ჰქონდეს თავისი ბიუჯეტი და შეძლოს ამ რესურსებით თავისი პრობლემების გადაჭრა. თუმცა ეს რესურსები ძალიან მწირია, შეიძლება ითქვას, რომ 7-8 მლნ ლარია თითო მუნიციპალიტეტისათვის. ამიტომ ამ რეფორმიდან რასაც ველი, ეს არის ფინანსური წინსვლა, რომ მუნიციპალიტეტს ბოლოს და ბოლოს ვანდოთ და მივცეთ ფული, იმიტომ რომ სოფელშიც არიან ადამიანები, რომლებსაც ძალიან კარგად შეუძლიათ ბიუჯეტის განკარგვა.

**დავით ლოსაბერიძე** - საპატრიარქოს შესახებ კითხვას ვუპასუხებ. გაკეთდა განცხადება და ეს არ ყოფილა ერთადერთი შემთხვევა. კეთდებოდა განცხადებები, რომ არ დაუშვებდნენ არა მარტო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე, არამედ მეგრულ სეპარატიზმს, სვანურ სეპარატიზმს. მაშინ გავიგე, რომ თურმე გურული და კახური სეპარატიზმიც არსებობს. ჩვენ გვეცინება, მაგრამ ეს განცხადებები სერიოზულად კეთდებოდა მათ შორის მმართველ და ოპოზიციურ პარტიაშიც. რაც შეეხება საპატრიარქოს, მე ვერ დავარღვევ პრეზუმფციას, არც გამომძიებელი ვარ და არც “ვოჩ დოგი”, სადაც ამას გააკეთებდნენ, არის ორი საკითხი - ინფორმაციის მცდარად მიწოდების და მეორეა მიზმანმიმართული მუშაობა სხვა ინტერესებით, რომელიც შესაძლოა სავაჭროდ ყოფილიყო გამოყენებული. საზოგადოებაში ორივე აზრი პრევალირებს, ორივეს აქვს თავისი დამადასტურებელი მონაცემები, მაგრამ ძნელია იმის თქმა, რომელია მართალი, ამის დასადასტურებლად ან უარსაყოფად ფაქტი უნდა გეჭიროს ხელში.

რაც შეეხება დამოუკიდებელი კანდიდატების დასახელების უფლებას, მე მგონი აბსოლუტური ერთობა არსებობს სამოქალაქო საზოგადოებაშიც და პოლიტიკურ ძალებშიც, ყოველ შემთხვევაში დებატების დონეზე, რომ დამოუკიდებელ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ წარდგენის საშუალება. თუმცა პარლამენტში განხილვის დროს ეს უკანა პლანზე გადადის ხოლმე. ჩემი პირადი აზრი თუ გაინტერესებთ, მცირე ჯგუფებს რა თქმა უნდა უნდა ჰქონდეთ წარდგენის უფლება, უფრო მეტად უნდა იყოს გათვალისწინებული სხვადასხვა ინტერესები. მე ვახსენე პრეფერენციების სისტემა, რომელიც ყველაზე მცირე ჯგუფებს აძლევდა საშუალებას. ამბობდნენ, რომ ეს სისტემა ვერ გაამართლებდა, იმიტომ რომ მხოლოდ ზოგიერთ ანგლოსაქსურ ქვეყანაშია და საქართველოს საამისო გამოცდილება არ ჰქონია. მერე გავიხსენეთ, რომ ამგვარი არჩევნები საქართველოშიც ჩატარდა

გამსახურდიას დროს, მერე თქვეს, რომ მაშინ არასწორად ჩატარდა და დათვლა ჭირს. მერე გაირკვა, რომ 1991 წელს ადამიანებს შეეძლოთ ასამდე დათვლა და ახლა აღარ შეუძლიათ, ანუ ეს უკვე პოლიტიკურ ჭრილში გადავიდა, მაგრამ ფაქტია, რომ მცირე ჯგუფებსაც უნდა ჰქონდეთ თავისი წარმომადგენლობა, რაც დააბალანსებს და მთლიან საზოგადოებრივ სპექტრს მოგვცემს.

საკრებულოებისა და გუბერნატორის ურთიერთობა. საკმაოდ საინტერესო სურათი იყო. ერთი და იგივე პოლიტიკური ძალა ამბობდა, რომ გუბერნატორები საერთოდ არ უნდა არსებობდნენ, იმიტომ რომ ისინი უნდა იყვნენ პირდაპირ არჩეულები. როგორ უნდა აირჩიო ის, ვინც საერთოდ არ უნდა არსებობდეს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტი სახეზეა. ჩემთვის არჩევნები მნიშვნელოვანია მხოლოდ მაშინ, თუ ვიცი რა უფლება აქვს არჩეულს, ან რა უნდა მოვთხოვო. საფრთხეს ვერც არჩევით გუბერნატორში ვხედავ და ვერც იმაში, რომ წარმომადგენლობითი ორგანო იყოს რეგიონის დონეზე. პრობლემა დგება უფლებამოსილების გამიჯვნისას, რა უნდა ეკუთვნოდეს ცენტრს, რა - სამხარეო დონეს და რა - ადგილობრივ თვითმმართველობას.

**თამარ გურჩიანი** - დიდი მადლობა მომხსენებლებს და აუდიტორიას საინტერესო დისკუსიისთვის. ვფიქრობ, საკმაოდ მწვავე საკითხები დაისვა და პასუხებიც მივიღეთ. რაც მთავარია, ეს პროცესი დაიწყო. დღევანდელი დებატებიც იმის მაგალითია, რომ ჩვენი მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტილებები არ უნდა იყოს მიღებული.